

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ელკადენტი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2021

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ელკადენტი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7-17
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
5. ამონაგები	12
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
8. სხვა ხარჯები.....	13
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი	14
10. მარაგები	15
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	16
13. სხვა მიმდინარე აქტივები.....	16
14. სესხები	16
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
18. მსს ფასს -ზე გადასვლა	Error! Bookmark not defined.
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	22,720	52,078
არამატერიალური აქტივები	9	893	1,050
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,612	53,128
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,789,471	1,733,508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	368,446	150,346
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	158,875	138,328
სხვა მიმდინარე აქტივები	13	43,216	34,908
სულ მიმდინარე აქტივები		2,360,008	2,057,090
სულ აქტივები:		2,383,620	2,110,219
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
სხვა რეზერვები და დაფინანსება		24,000	-
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		2,157,120	1,710,136
სულ საკუთარი კაპიტალი		2,181,120	1,710,136
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	0.0	187,336
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	187,336
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	202,500	212,746
საგადასახადო ვალდებულებები		0	(0.0)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		202,501	212,746
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,383,620	2,110,219

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია

დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	2,399,638	3,237,338
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(1,594,570)	(2,346,422)
საერთო მოგება		805,068	890,917
სხვა შემოსავლები		11,804	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(136,158)	(149,127)
სხვა ხარჯები	8	(35,408)	(63,377)
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		45,154	(17,701)
ფინანსური ხარჯები	14	(4,071)	(10,889)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		686,389	649,822
მოგების გადასახადი			-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		686,389	649,822

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია

დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
01.01.2018 ნაშთი	-	570,456	-	570,456
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	489,858	-	489,858
31.12.2018 ნაშთი	-	1,060,314	-	1,060,314
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	649,822	-	649,822
31.12.2019 ნაშთი	-	1,710,136	-	1,710,136
დივიდენდის განაწილება	-	(239,406)	24,000	(215,406)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	686,389	-	686,389
31.12.2020 ნაშთი	-	2,157,120	24,000	2,181,120

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია

დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,433,239	3,268,471
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,931,013)	(2,990,018)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(65,991)	(69,570)
გადახდილი გადასახადები	(65,976)	(47,310)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	370,260	161,574
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(4,213)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(4,213)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,005,950	1,620,465
სესხის ძირის დაფარვა	(1,193,286)	(1,612,808)
საპროცენტო ხარჯები	(4,071)	(10,889)
დივიდენდის გაცემა	(227,436)	
დამფუძნებლის შენატანი	24,000	
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	45,131	(17,701)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(349,712)	(20,933)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	20,547	136,428
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	138,328	1,901
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	158,876	138,328

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 12 აგვისტოს. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდგორის რაიონი, დაბა წყნეთი, სტალინის ქ., №68ა

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % - იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ელგუჯა კახიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახ-დელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,399,638	3,237,338
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,399,638	3,237,338

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	78,701	88,982
ცვლათა	30,193	30,640
საიჯარო ქირა	23,675	25,508
კომუნიკაციის ხარჯი	1,011	1,096

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომუნალური ხარჯები	2,577	2,902
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	136,158	149,127

8. სხვა ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა ხარჯები	18,738	22,705
მივლინების ხარჯები	180	13,618
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	9,781
საბანკო ხარჯი	9,712	7,863
საკონსულტაციო აუდიტორული მომსახურება	2,542	5,000
დაზღვევა	1,140	2,263
გამოფენა სემინარების ხარჯი	2,400	1,127
საგადასახადო ხარჯი	696	1,019
სულ სხვა ხარჯები	35,408	63,377

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
 დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
 თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივი	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
დეკემბერი 31, 2018	51,058	10,648	9,512	61,717	23,825	-	156,760
მატება	-	2,823	1,391	-	-	1,050	4,213
კლება							-
დეკემბერი 31, 2019	51,058	13,471	10,902	61,717	23,825	1,050	160,973
მატება		677					677
კლება							-
დეკემბერი 31, 2020	51,058	14,148	10,902	61,717	23,825	1,050	162,700
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>			-				-
დეკემბერი 31, 2018	(23,827)	(4,516)	(5,180)	(27,773)	(16,958)	-	(78,254)
მიმდინარე წლის ცვეთა	(10,212)	(2,446)	(2,066)	(12,343)	(3,574)	-	(30,640)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე			-				-
დეკემბერი 31, 2019	(34,039)	(6,962)	(7,246)	(40,116)	(20,532)	-	(108,895)
მიმდინარე წლის ცვეთა	(10,212)	(2,552)	(1,635)	(12,343)	(494)	(158)	(27,236)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე							-
დეკემბერი 31, 2020	(44,250)	(9,514)	(8,881)	(52,460)	(21,026)	(158)	(136,131)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>			-				-
დეკემბერი 31, 2018	27,231	6,132	4,331	33,944	6,867	-	78,506
დეკემბერი 31, 2019	17,019	6,509	3,656	21,601	3,293	1,050	53,128
დეკემბერი 31, 2020	6,808	4,633	2,021	9,258	2,799	893	26,412

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შედგავთების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

10. მარაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,789,471	1,733,508
ჯამი	1,789,471	1,733,508
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422
დაგირავებული მარაგების საბალანსო ღირებულება	-	-

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	116,679	64,608	34,468
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	116,679	64,608	34,468
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	-	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	116,679	64,608	34,468
წინასწარი გადახდები	33,667	398,534	42,534
მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	150,346	463,142	77,002

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	180	130,561
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	158,695	7,768
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	158,875	138,328

13. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	43,216	34,908
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	43,216	34,908

14. სესხები

სესხის ნომერი	ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2019 ექვივალენტ ი	ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტ ი
საბანკო სესხი 316-3-1	გრძელვადიანი	ლარი	12%	187,336	-
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები				187,336	-

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	-	187,336
მოკლევადიანი სესხები	-	-
ჯამი	-	187,336

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	4,071	10,889
მოკლევადიანი სესხები	-	-
ჯამი	4,071	10,889

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	37,085	189,052	203,525
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი	-	-	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი	37,085	189,052	203,525
წინასწარ მიღებული თანხები	175,661	115,802	133,280
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	212,746	304,855	336,805

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირ(ებ)ი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოზე

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	42117
---	-------

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალურია გაცვლითი კურსი გახლდათ შემდეგი: ერთი აშშ დოლარი = 3.4503 ლარი და ევრო 1 = 4.1818

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	22,720	52,078
არამატერიალური აქტივები	9	893	1,050
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,612	53,128
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	1,789,471	1,733,508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	368,446	150,346
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	158,875	138,328
სხვა მიმდინარე აქტივები	13	43,216	34,908
სულ მიმდინარე აქტივები		2,360,008	2,057,090
სულ აქტივები:		2,383,620	2,110,219
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
სხვა რეზერვები და დაფინანსება		24,000	-
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		2,157,120	1,710,136
სულ საკუთარი კაპიტალი		2,181,120	1,710,136
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	0.0	187,336
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	187,336
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	202,500	212,746
საგადასახადო ვალდებულებები		0	(0.0)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		202,501	212,746
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,383,620	2,110,219

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	2,399,638	3,237,338
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(1,594,570)	(2,346,422)
საერთო მოგება		805,068	890,917
სხვა შემოსავლები		11,804	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(136,158)	(149,127)
სხვა ხარჯები	8	(35,408)	(63,377)
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		45,154	(17,701)
ფინანსური ხარჯები	14	(4,071)	(10,889)
მოგება/ზარალი მოგების გადასახდით დაბეგრამდე		686,389	649,822
მოგების გადასახადი			-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		686,389	649,822

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
01.01.2018 წაშთი	-	570,456	-	570,456
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	489,858	-	489,858
31.12.2018 წაშთი	-	1,060,314	-	1,060,314
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	649,822	-	649,822
31.12.2019 წაშთი	-	1,710,136	-	1,710,136
დივიდენდის განაწილება	-	(239,406)	24,000	(215,406)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	686,389	-	686,389
31.12.2020 წაშთი	-	2,157,120	24,000	2,181,120

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,433,239	3,268,471
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,931,013)	(2,990,018)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(65,991)	(69,570)
გადახდილი გადასახადები	(65,976)	(47,310)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	370,260	161,574
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(4,213)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(4,213)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,005,950	1,620,465
სესხის ძირის დაფარვა	(1,193,286)	(1,612,808)
საპროცენტო ხარჯები	(4,071)	(10,889)
დივიდენდის გაცემა	(227,436)	
დამფუძნებლის შენატანი	24,000	
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	45,131	(17,701)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(349,712)	(20,933)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	20,547	136,428
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის	138,328	1,901
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	158,876	138,328

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 12 აგვისტოს. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდგორის რაიონი, დაბა წყნეთი, სტალინის ქ., №68ა

კომპანიის დამფუძნებელი და 100 % - იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ელგუჯა კახიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში.

კომპანია ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველაწაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება. მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახ-დელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრელ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2,399,638	3,237,338
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2,399,638	3,237,338

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	78,701	88,982
ცვეთა	30,193	30,640
საიჯარო ქირა	23,675	25,508
კომუნიკაციის ხარჯი	1,011	1,096

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომუნალური ხარჯები	2,577	2,902
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	136,158	149,127

8. სხვა ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სხვა ხარჯები	18,738	22,705
მივლინების ხარჯები	180	13,618
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	9,781
საბანკო ხარჯი	9,712	7,863
საკონსულტაციო აუდიტორული მომსახურება	2,542	5,000
დაზღვევა	1,140	2,263
გამოფენა სემინარების ხარჯი	2,400	1,127
საგადასახადო ხარჯი	696	1,019
სულ სხვა ხარჯები	35,408	63,377

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)


9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივი

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერიალური აქტივი	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
დეკემბერი 31, 2018	51,058	10,648	9,512	61,717	23,825	-	156,760
მატება	-	2,823	1,391	-	-	1,050	4,213
კლება							-
დეკემბერი 31, 2019	51,058	13,471	10,902	61,717	23,825	1,050	160,973
მატება		677					677
კლება							-
დეკემბერი 31, 2020	51,058	14,148	10,902	61,717	23,825	1,050	162,700
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>							
დეკემბერი 31, 2018	(23,827)	(4,516)	(5,180)	(27,773)	(16,958)	-	(78,254)
მიმდინარე წლის ცვეთა	(10,212)	(2,446)	(2,066)	(12,343)	(3,574)	-	(30,640)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე							-
დეკემბერი 31, 2019	(34,039)	(6,962)	(7,246)	(40,116)	(20,532)	-	(108,895)
მიმდინარე წლის ცვეთა	(10,212)	(2,552)	(1,635)	(12,343)	(494)	(158)	(27,236)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე							-
დეკემბერი 31, 2020	(44,250)	(9,514)	(8,881)	(52,460)	(21,026)	(158)	(136,131)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>							
დეკემბერი 31, 2018	27,231	6,132	4,331	33,944	6,867	-	78,506
დეკემბერი 31, 2019	17,019	6,509	3,656	21,601	3,293	1,050	53,128
დეკემბერი 31, 2020	6,808	4,633	2,021	9,258	2,799	893	26,412

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

10. მარაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური მარაგი	1,789,471	1,733,508
ჯამი	1,789,471	1,733,508
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	1,594,570	2,346,422
დაგირავებული მარაგების საბალანსო ღირებულება	-	-

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	116,679	64,608	34,468
გაუფასურების ზარალის თანხა	-	-	-
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	116,679	64,608	34,468
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	-	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	116,679	64,608	34,468
წინასწარი გადახდები	33,667	398,534	42,534
მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	150,346	463,142	77,002

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელკადენტი“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	180	130,561
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	158,695	7,768
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	158,875	138,328

13. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	43,216	34,908
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	43,216	34,908

14. სესხები

სესხის ნომერი	ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2019 ეკვივალენტ ი	ნაშთი 31.12.2020 ეკვივალენტ ი
საბანკო სესხი 316-3-1	გრძელვადიანი	ლარი	12%	187,336	-
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები				187,336	-

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	-	187,336
მოკლევადიანი სესხები	-	-
ჯამი	-	187,336

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	4,071	10,889
მოკლევადიანი სესხები	-	-
ჯამი	4,071	10,889

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი გაბელაია
დირექტორი

2021 წლის 30 აპრილ
თბილისი, საქართველო

